სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 ოქტომბერი 2026

N 715/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმში, შპს „კორეან ელექტრონიქსის“ სახიფათო ნარჩენების დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. ბათუმში, შპს „კორეან ელექტრონიქსის“ სახიფათო ნარჩენების დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N26;
2. შპს „კორეან ელექტრონიქსი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N26 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კორეან ელექტრონიქსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „კორეან ელექტრონიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. ბათუმის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/715-21-4-202610081006

სკოპინგის დასკვნა N26

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „კორეან ელექტრონიქს“ (ს/კ 406221921);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 26.08.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „კორეან ელექტრონიქს“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „კორეან ელექტრონიქს“-ის (შემდგომ – კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. ბათუმში, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა დაგეგმილია ქ. ბათუმში, შპს „კორეან ელექტრონიქს“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.25.08.188) განთავსებულ სასაწყობო-საწარმოო შენობაში (ჯამური ფართობით 2 840 მ^2), რომელიც შედგება ორი სექტორისგან. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 719229.00, Y - 4611334.00; X - 719161.00, Y - 4611340.00; X - 719145.00, Y - 4611172.00; X - 719145.00, Y - 4611172.00; X - 719171.00, Y - 4611166.00; X - 719167.00, Y - 4611129.00; X - 719157.00, Y - 4611130.00; X - 719154.00, Y - 4611097.00; X - 719153.00, Y - 4611032.00; X - 719195.00, Y - 4611027.00; X - 719207.00, Y - 4611043.00; X - 719217.00, Y - 4611124.00; X - 719213.00, Y - 4611141.00; X - 719209.00, Y - 4611142.00. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების საწარმოები, ასევე საოფისე შენობა-ნაგებობები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 140 მეტრში, შავი ზღვის სანაპირო ზოლი - 2.7 კმ-ში, ხოლო მდ. ჭოროხი საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 3.7 კმ-ში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია არაქმედების (ნულოვანი) და საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ორი ალტერნატიული ვარიანტი (I

ალტერნატივა - ს/კ: 05.25.08.188; II ალტერნატივა - ს/კ: 05.26.12.009), რომელთაგან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ადგილმდებარეობის I ალტერნატიულ ვარიანტს და უარყოფილი იქნა არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული სასაწყობო-საწარმოო შენობის I სექტორში (ფართობი - 1 873 მ^2) განთავსდება ობიექტზე დასამუშავებლად შემოსული ელექტრონული ნარჩენები, დაშლილი კომპონენტების სპეციალური კონტეინერები და ლითონის თაროები, ხოლო II სექტორში (ფართობი - 967 მ^2) მოეწყობა ელექტრონული ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და დაშლის ხაზი. ასევე დაგეგმილია იზოლირებული ადმინისტრაციული ბლოკი (პერსონალის გასახდელები, სანიტარიული კვანძები, საკონტროლო პუნქტი და დამხმარე სივრცეები).

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ელექტრონული ნარჩენების შეგროვებას, უსაფრთხო ტრანსპორტირებას, დროებით განთავსებას (R13) და წინასწარ დამუშავებას/დაშლას (R12), შემდგომში მათი აღდგენა-რეციკლირების მიზნით. ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, ობიექტზე შემოტანილი ელექტრონული მოწყობილობები გადის პირველად ვიზუალურ შემოწმებას და გადადის II სექტორში დაშლისთვის. დაშლის შედეგად მიღებული ფრაქციები ადგილზევე ხარისხდება, თავსდება სპეციალურ მარკირებულ კონტეინერებსა და ბიგ-ბეგებში (UN დამტკიცებული სტანდარტით) და საწყობდება I სექტორში განთავსებულ მყარ ლითონის თაროებზე, არაუმეტეს სამი წლის ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე სათანადო ნებართვის ან/და რეგისტრაციის მქონე კომპანიებზე გადაცემამდე, შემდგომი R3, R4, R13 ან D9/D10 ოპერაციების განსახორციელებლად. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 2 600 ტონა ელექტრონულ ნარჩენს წელიწადში, ხოლო ერთდროულად დასაწყობებული ნარჩენების რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 500 ტონას. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს შენობის იატაკი მოწყობილია წყალგაუმტარი, ვიბროდაწნეხილი ბეტონისგან და შენობის ნაწილში დაშლისა და დასაწყობების ზონებში განთავსებულია სითხეების გაჟონვის შემკრები ლოკალური არხები. ანგარიშის თანახმად, საწარმო იმუშავებს წელიწადში 260-270 დღის განმავლობაში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და დასაქმდება 10-20 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად, საწარმოში შემოსატანი ნარჩენების კოდებია: 16 02 13* – მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში; 16 02 14 – მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელთაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 13-მდე პუნქტებში; 20 01 35* – წუნდებული ხელსაწყოები, გარდა 20 01 21 და 20 01 23 პუნქტებისა, რომლებიც შეიცავენ სახიფათო კომპონენტებს და 20 01 36 – წუნდებული ხელსაწყოები, გარდა

20 01 21, 20 01 23 და 20 01 35 პუნქტებისა. ობიექტის ნარჩენებით (თბოგამცვლელი ტექნიკა; ეკრანები და მონიტორები; ნათურები; მსხვილი ტექნიკა; მცირე ზომის ტექნიკა და მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები) მომარაგება განხორციელდება ფიზიკური და იურიდიული პირებისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციებისგან, ხოლო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება განხორციელდება სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 („ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ“) და 2016 წლის 29 მარტის №144 („ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“) დადგენილებების შესაბამისად. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე დღის მანძილზე იმოძრავებს 1-2 სპეციალიზებული ავტომობილი, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი დამჭერი, საფიქსაციო და დამცავი სისტემებით. ტრანსპორტირებითვის გამოყენებული იქნება სამრეწველო და ბათუმის შემოვლითი გზები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია, სრულად მობეტონებულია და ვინაიდან საქმიანობა განხორციელდება უკვე არსებულ, კაპიტალურად მოწყობილ შენობაში დაგეგმილი არ არის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, მიწის ექსკავაციის და საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ასევე გარემოდან ხე-მცენარეების ამოღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ელექტრონული ნარჩენების წინასწარი დამუშავების/დაშლის პროცესში (R12) მშრალი ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, წყლის გამოყენება დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, ქიმიურად დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენური საჭიროებებისათვის წყლის მიწოდება განხორციელდება ქ. ბათუმის ცენტრალური მუნიციპალური წყალსადენიდან, ხოლო წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაეშვება ქ. ბათუმის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს უწყვეტი ელექტროენერგია მიეწოდება ქ. ბათუმის ცენტრალური ელექტროქსელიდან.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი არ არის სამშენებლო სამუშაოები, ადგილი არ ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრისა და ემისიების გავრცელებას. ამასთან, ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილი არ არის სტაციონარული გაფრქვევის (საკვამლე, სავენტილაციო ან ქიმიური გამწოვი) წყაროების განთავსება, ვინაიდან დაშლის პროცესი წარიმართება მხოლოდ ფიზიკურ-მექანიკური მეთოდით, ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით, თერმული დამუშავების, წვის, გალვანიზაციის ან

დასაქუცმაცებელი (შრედერის) აგრეგატების გამოყენების გარეშე, შესაბამისად, ემისიების გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სპეციალური ავტოტრანსპორტი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ოზონდამშლელი ნივთიერებების ან სათბურის აირების (მაცივარაგენტების) შემცველი მოწყობილობების დაშლისას განხორციელდება ფრეონის ჰერმეტული ამოტუმბვა და დალუქულ, მარკირებულ მაღალი წნევის ბალონებში განთავსება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან ტექნოლოგიური პროცესი განხორციელდება კაპიტალურ, გადახურულ შენობაში, ხოლო დაშლისა და ტვირთის ჩამოცლა/დატვირთვის ოპერაციები მხოლოდ დღის საათებში, ხმაურის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ნარჩენების დამუშავების/დაშლის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები (19 12 04; 19 12 02; 16 06 05; 19 12 11*) შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურად გამოყოფილ, მარკირებულ კონტეინერებში, მათი სახეობების მიხედვით და შემდგომი მართვის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სათანადო ნებართვისა თუ რეგისტრაციის მქონე კონტრაქტორ კომპანიებს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ურბანულ/სამრეწველო ზონაში მდებარეობის გამო, თავისუფალია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისგან, მცენარეული საფარისგან და არ ხვდება ველური ფაუნის ბუნებრივი ჰაბიტატები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით დაფარულ ტერიტორიების სიახლოვეს. ამასთან, სააგენტოში არსებული ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტის სიახლოვეს და ტერიტორიის ნაწილი უშუალოდ ექცევა ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიის (IBA) GE014 – Batumi-სა და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის (SPA) SPA16 – Batumi-ს საზღვრებში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ასევე, გაეგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 21 სექტემბერს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე, გარემოსდაცვითი კონსულტანტი (საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მინდობილი პირი) და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლები. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული

საკითხები ძირითადად ეხებოდა ელექტრომოწყობილობების ნაწილების გადამუშავების, გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების შემდგომი გამოყენების, მათ საბოლოო ფორმას, ნარჩენების რადიაციული გამოსხივების საკითხსა და საწარმოს მუშაობის გეგმა-გრაფიკს. აღნიშნულ საკითხებზე გარემოსდაცვითმა კონსულტანტმა შესაბამისი განმარტებები გააკეთა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. <u>გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).</u>

5. <u>გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:</u>

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილ(ებ)ის (მათ შორის, უშუალოდ **ნარჩენების დროებითი განთავსებისა და დაშლის/დამუშავების,** ასევე ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების განთავსების ადგილების) აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), **ასევე ზედაპირული წყლისა** და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ნარჩენების შენახვის ობიექტის და დაშლის/დამუშავების ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნარჩენების მიღების, დროებითი განთავსების, წინასწარი დამუშავების/დაშლისა და გაცემის ოპერაციების თანმიმდევრული აღწერითა და წარმადობების მითითებით). ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის (მათ შორის, ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ყველა დანადგარებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების) სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით. ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნარჩენებით მომარაგების, ნარჩენების წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნარჩენების დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნარჩენების შემოტანისა და დამზადებული პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნარჩენების/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნარჩენების/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნარჩენების/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის

ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ნარჩენების ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში - ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების (არსებობის შემთხვევაში) (დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (არსებობის შემთხვევაში). მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე არხის მესაკუთრესთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში (მათ შორის ზეთის რადიატორებისა და მაცივარაგენტების დაშლის შედეგად) ყველა შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ასევე გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. გარდა ამისა, განხილული უნდა იქნეს ტერიტორიის სითხეგაუმტარი ფენით დაფარვის (არსებობის შემთხვევაში), ასევე ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ.

6. <u>ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:</u>

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიში;
    - დაზუსტებული ინფორმაცია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ (მეთოდური მითითებით);
    - სტაციონარული გაფრქვევის წყარო(ები)ს არსებობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
    - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება ობიექტთან უახლოეს მოსახლესთან მონიტორინგის მეთოდი, სიხშირე/პერიოდულობა და სააგენტოში შედეგების წარმოდგენის საკითხი;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით და მონიტორინგის საკითხებით. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილი უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში - ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით, 500 მ-იან რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და სხვ.). ასევე კუმულაციური

ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;

- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელებას;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მაქსიმალური საპროექტო და R12 ოპერაციის ფარგლებში ნარჩენების წინასწარი დამუშავების/დაშლის საპროექტო წარმადობა, ასევე R13 ოპერაციის ფარგლებში ერთდროულად დროებით შესანახი ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა ტონებში, საწარმოს მითითებული მაქსიმალური წარმადობის (2 600 ტონა/წელ) გათვალისწინებით. ასევე, დასაზუსტებელია სკოპინგის ანგარიშში D13 ოპერაციის მითითების საფუძველი, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის აღწერის მიხედვით გათვალისწინებულია ნარჩენების დროებითი შენახვა (R13) და წინასწარი დამუშავება/დაშლა (R12) შემდგომი აღდგენის მიზნით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, გათვალისწინებულია თუ არა ნარჩენების იმპორტი ან/და ექსპორტი. ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის გათვალისწინების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მიღების, დროებითი შენახვისა და წინასწარი დამუშავების/დაშლის ტექნოლოგიური პროცესი. R12 ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი თითოეული ნარჩენის/ფრაქციისთვის მითითებული იქნეს დასახელება,

შესაბამისი ნარჩენის კოდი, სახიფათოობის მახასიათებელი, სავარაუდო წლიური რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები. ცალკე იქნეს განხილული ლითონების, პლასტმასის, მინის, ელექტრონული სამონტაჟო დაფების და სხვა ელექტრონული კომპონენტების, ბატარეებისა და აკუმულატორების, მაცივარაგენტების, ვერცხლისწყლის შემცველი და სხვა სახიფათო კომპონენტების შემდგომი მართვა. ასევე, დაზუსტდეს სკოპინგის ანგარიშში მითითებული „შერეული სახიფათო ნარჩენების“ შემადგენლობა, კოდები და რაოდენობები;

- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი R13 ოპერაციისთვის განკუთვნილი დროებითი შენახვის უბნის მოწყობისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის ნარჩენების განთავსების ზონები, მათი ფართობები და მაქსიმალური ტევადობები, დასაწყობების მეთოდები და პირობები. ცალკე განისაზღვროს შემოსული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების, დაშლის შედეგად მიღებული ფრაქციებისა და სახიფათო კომპონენტების შენახვის ადგილები და პირობები. აღწერილი იქნეს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვების, შესაბამის კონტეინერებში/ტარაში განთავსების, მარკირების, ასევე დაღვრის/გაჟონვის პრევენციისა და ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში ნარჩენების კლასიფიკაცია და შესაბამისი კოდების მინიჭება უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში კორექტირებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შეუსაბამობები და ტექნიკური უზუსტობები, მათ შორის სკოპინგის ანგარიშის 2.3 თავში არსებული ჩანაწერი ნარჩენების „კომპოსტის წარმოების მიზნით“ აღდგენის შესახებ, რომელიც დაგეგმილ საქმიანობას არ შეესაბამება;
- სკოპინგის ანგარიშის ტექსტში, ნიადაგსა და გრუნტის წყლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებისას, განხილულია ტრანსფორმატორის ზეთებით მოსალოდნელი ზემოქმედება. ამასთან, ანგარიშის 2.3 და 2.5 პუნქტებში, მისაღები და წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაციაში ტრანსფორმატორის ნარჩენების ან ნარჩენი ზეთების კოდები მითითებული არ არის, შესაბამისად, აღნიშნული საკითხები გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის 3.2 თავში („პროექტის საჭიროების დასაბუთება“) საქმიანობის აღწერა არ შეესაბამება წარმოდგენილ პროექტს. კერძოდ, ელექტრო და ელექტრული მოწყობილობებიდან წარმოქმნილი ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის ნაცვლად, განხილულია პლასტმასის ნარჩენების მართვის საკითხები. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შესწორებას და პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სკოპიგნის ანგარიშის თანახმად, „გრანულების წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული არასახიფათო პლასტმასის ნარჩენების გადამუშავების პროცესს“, ხოლო ტექნოლოგიური პროცესის აღწერისას მითითებულია, რომ საწარმოში არ იგეგმება სტაციონარული, ავტომატიზებული ან სხვა ტიპის შესაბამისი დანადგარების

გამოყენება და წინასწარი დამუშავება განხორციელდება ხელით/მექანიკური დაშლით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს, იგეგმება თუ არა პლასტმასის გრანულების წარმოება და არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის დეტალური აღწერა, დანადგარების, წარმადობისა და მიღებული პროდუქციის მითითებით;

- სკოპინგის ანგარიშის 4.3–4.4 თავებში გამოყენებული ტერმინი „საქმიანი ეზო“ საჭიროებს დაზუსტებას ტერიტორიის მდებარეობისა და დაგეგმილ საქმიანობასთან ფუნქციური კავშირის გათვალისწინებით;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მდ. ჭოროხამდე მანძილთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავია. კერძოდ, ანგარიშის 4.4 თავში აღნიშნულია, რომ მდ. ჭოროხი საწარმოს სამხრეთით დაახლოებით 0.25 კმ მანძილზე მიედინება, ხოლო ანგარიშის მე-5 თავში მითითებულია, რომ მდინარე საპროექტო შენობიდან 3 700 მეტრის დაშორებით მდებარეობს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის ფონური მდგომარეობის აღწერის ნაწილში წარმოდგენილი ზოგიერთი მონაცემი საჭიროებს დაზუსტებას საპროექტო ტერიტორიის მდებარეობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, შავი ზღვის ჰიდროლოგიური პირობების აღწერისას გამოყენებულია ფოთის ნავსადგურის მონაცემები, ხოლო იქთიოფაუნის აღწერისას მითითებულია „ქ. ფოთის საზღვაო სანაპიროს გავლენის ზონა“. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას და საპროექტო ტერიტორიის მდებარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შენობის საერთო ფართობი შეადგენს 2 840 მ²-ს, რომელიც I (1 873 მ²) და II (967 მ²) სექტორებად არის წარმოდგენილი, თუმცა ანგარიშის გვ.13-ზე ცალკე არის მითითებული ადმინისტრაციული ბლოკიც, რომლის ფართობი ან/და აღნიშნულ 2 840 მ²-ში განთავსების საკითხი ბუნდოვანია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 120 მეტრში მდებარეობს ქ. ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებული მაგისტრალური არხი სტეფანოვკა (ს/კ: 22.00.017), რომლის შესახებ (მათ შორის შესაძლო ზემოქმედების შესახებ) დეტალური ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- საპროექტო ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიის არსებობა/არარსებობის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- **დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და მასთან თავსებადობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;**

- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.**

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს შპს „კორეან ელექტრონიქსის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ქ. ბათუმში, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 ოქტომბერი 2026

N 21/15240

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

გიგზავნით, **ქ. ბათუმში, შპს „კორეან ელექტრონიქსის“ სახიფათო ნარჩენების დამუშავებისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 8 ოქტომბრის N 715/ს ბრძანებას და N26 სკოპინგის დასკვნას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების და დასკვნის განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართი:

- გზშ სკოპინგის დასკვნა და ბრძანება - 2 ფაილი

პატივისცემით,
ირაკლი მეგრელიძე

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/15240-21-2-202610201052